განმცხადებელი: გიორგი ბადრიძე

თარიღი: 23-02-2023

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები: დამიკავშირდა "იმედის" ჯურნალისტი ნათია სონღულაშვილი: "ბრიტანულ შეთანხმების გაფორმების და კეზერაშვილთან შეხვედრის შესახებ გვინდა თქვენი ჩაწერა - გააკეთებთ კომენტარს?", რაზეც დავთანხმდი,

სადავო მასალა: "იმედის" ქრონიკა და სხვა საინფორმაციო გადაცემები 22 თებერვლიდან რეგულარულად მიკერძოებულად აშუქებს თემას, რომელიც პირადად მე მეხება, ბრალს მდებენ "ანტიქართულ შეთქმულებაში".

https://m.youtube.com/watch?v=cxyiAgfpq8o ტაიმკოდი - 1:40-6:07

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება: კომენტარში, რომელიც მივეცი "იმედის" ჟურნალისტს, კატეგორიულად და მრავალჯერ უარვყავი ყოველგვარი კონტაქტი ან მოლაპარაკებები რომელიმე ლობისტულ კომპანიასთან, რის მიეუხედავად "იმედმა" თავის სიუჟეტში აჩვენა ფოტო, რომელზეც ასახული იყო ჩემი, თემურ იაკობაშვილის (რომელიც ჩემი მეგობარია) და დავით ტყეშელაშვილის და დავით კეზერაშვილის ლანჩი ლონდონში (გადაღებული უკანონო მიყურადების შედეგად), და გაასაღა ის, როგორც იმის სამხილი, რომ წარმოებს მოლაპარაკებები ლობისტურ კომპანიასთან. ჩემთან გამოგზავნილ კორესპონდენტს რამდენჯერმე მოვთხოვე ეჩვენებინა, სადაა სურათზე იმ არარსებული კომპანიის წარმომადგენელი და ხაზგასმით და კატეგორიულად მივითითე, რომ მათი ბრალდების სიცრუეს თავად მათ მიერ გავრცელებული ფოტო ადასტურებს. მაგრამ არაფერი ამდაგვარი ეთერში არ გასულა - ჩემი ნათქვამიდან მხოლოდ ის დარჩა, რომ ეს იყო მეგობრული ლანჩი (ისიც გარკვევით მქონდა ნათქვამი, რომ ამ სამ ადამიანს შორის მხოლოდ თემურ იაკობაშვილი იყო ჩემი მეგობარი, ხოლო დანარჩენ ორს პირველად შევხვდი).

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას: ვეთანხმები